ტფილისი
72

№ 39
თებერვლის 19, ოთხშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 39
თებერვლის 19, ოთხშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თებერვლიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ქვრივი ივანეს ასული ელისოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თვისის ძმისა

აბრამ ივანესძის თამაზოვისას

და სთხოვს მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზედ შაბათს 22 თებერვალს პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. წირვა და ანდერძი იქნება წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ხარფუხს. (2—37—1).

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის საზაფხულო სამყოფის გვერდით

საუკეთესო სააგარაკო ადგილები,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია მოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსო საჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟნიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია. იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—1)

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მუღიძე—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშ: რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფიბანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

✦ ტფილისის გუბერნატორმა ამ დღეებში დაამტკიცა „ტფილისის კაპელდინერებისა და შვეიცრების არტელის“ წესდება.

✦ ხვალ ქალაქის გამგეობის სადგურში დანიშნულია ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება, რომელთაც უნდა განიხილონ ამ წლის სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა.

✦ ტფილისის ხორცის დუქნების გამგეს ბ. ალიხანოვს შეუტანია ქაღალდი ქალაქის გამგეობაში, რომლითაც იგი ამა 1903 წლის განმავლობაში დუქნების მოსაწყობათ ითხოვს ასი ათას მანეთს.

✦ ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას განუზრახავს ცხვრის ხორცზედ არსებული ნიხრი ასწიოს,—13 კაპეიკამდინ გირვანქაზედ.

✦ ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების მართველობამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და შეატყობინა, რომ თუ ქალაქში ცეცხლის მქრობელი რაზმი ხეირიანად მოეწყობა, საზოგადოებაც იკისრებს ხარჯის გაღებასაო.

✦ პენზის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებამ მიჰმართა ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებას და სთხოვა, რადგანაც წარსულ წელს ცეცხლმა დიდი ზარალი მოუტანა საზოგადოებასაო, ამიტომ კეთილ ინებეთ და გაგვიმართეთ ხელი დროებით სესხითაო; ტფილისის დამზღვევ საზოგადოებამ გარდასწყვიტა: მიეცეს ასი თუმანი უსარგებლოდ ოცის წლის ვადითაო.

✦ ტფილისის სამეურნეო-საბაღოსნო სკოლის გამგე ბ. ივანოვი წასულა სოფ. კასპში თავ. ზაქ. ერისთავის მამულის დასათვალიერებლად, სადაც საბაღოსნო სკოლის შეგირდებმა ზაფხულობით პრაქტიკულად უნდა იმუშაონ.

✦ მომავალ გაზაფხულზედ კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა მმართველობისაგან საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში გაიგზავნებიან მიწის მზომელთა დასები; მიწის მზომელთ სახელმძღვანელოთ მიეცემათ ახლად შედგენილი ინსტრუქცია, რომელიც შეიმუშავა და დაამთავრა ამ დღეებში საგანგებოდ ამორჩეულმა კომისიამ.

✦ ყარსიდგან გვატყობინებენ, რომ შაბათს, 15 თებერვალს ყარსიდგან მიმავალმა მატარებელმა იმსხვერპლა 10 წლის ბიჭი; ბავშვს ზედ შეხტომა უნდოდა, მაგრამ საუბედუროდ დაუსხლტა ფეხი და შიგ თვალ ქვეშ ჩავარდა; ბავშვს ორთავ ბარძაყები წააწყვიტა; თუმცა მატარებელი იმ წამსვე შეაჩერეს, მაგრამ გვიანდა იყო, ბავშვი სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ როგორც საგარეჯოდგან ჩამოსულმა სარწმუნო პირებმა გარდმოგვცეს, იქ გაჩენილა ხუნაგი და ინფულენციესებური ავადმყოფობა.

სასკოლო რეფორმის გამო.

საშუალო სკოლის განზრახულ რეფორმამ ბევრი იმისთანა საყურადღებო საგანი დაგვიყენა თვალწინ, რომელთა საკეთილოდ გადაწყვეტას ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება მოზარდ ახალ-თაობის გონებრივად განვითარების საქმეში.

ამ მრავალგვარ საგანთა შორის მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეც დიდ მნიშვნელოვან საქმედ უნდა ჩაითვალოს. სკოლის ნაყოფიერად მოქმედება, სკოლის გონივრულად წარმართვის საქმე სხვათა შორის დამყარებულია მასწავლებელთა კორპორაციის შერჩევაზედაც.

მასწავლებელი სულია სკოლისა. ჭეშმარიტი მასწავლებელი ის დედა ღერძია, რომლის გარშემო განუწყვეტლივ ტრიალებს სკოლის მრავალფეროვანი და რთული მექანიზმი. სკოლის ეს საიმედო ღერძი თუ მკვიდრი არ არის, სკოლა ჰკარგავს თავის ცხოველმყოფელობას, და მოზარდ თაობის გონებრივი გახვითარება სუსტდება.

ამნაირად ის დიადი საქმე, რომლის განხორციელება სკოლას თავს უდვია, ფერხდება, სკოლა თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ აღწევს.

მასწავლებლობა მეტად სამძიმო საქმეა. ჭეშმარიტი მასწავლებელი განუწყვეტლივ შრომაშია, მისი აზრი, გონება, მისი მთელი ენერგია სკოლას ეკუთვნის. ჭეშმარიტის მასწავლებლის შრომის გაზომვა ფულით მეტად საძნელოა. ფულით გაზომვა იმ სამძიმო ტვირთვისა, რომელსაც მასწავლებელი ეწევა, თითქმის მოუხერხებელია. გარნა თუ მასწავლებელი მაინც მედგრად და დაუღალავად ეწევა აუტანელს შრომას, ასე თავგანწირულებით იღწვის ამ სამძიმო ასპარეზზედ, ამის თავი და თავი მიზეზი ის ზნეობრივი კმაყოფილებაა, რომელსაც ჰგრძნობს თვითოეული ჭეშმარიტი მასწავლებელი ახალ-თაობის სწავლა-აღზრდის დროს. მასწავლებლის უმთავრესი ზნეობრივი ჯილდო შეგირდების ჩვილს გულში აგებული ძეგლია, რომლის მტკიცედ ნაშენი კედლები მუდამ მჭევრ-მეტყველებით ღაღადებს ჭეშმარიტის მასწავლებლის დაუღალავ შრომის შესახებ.

ამნაირად, ჩვენის აზრით, მასწავლებლის შრომის ნივთიერად დაფასება მეტად საძნელოა, ხოლო საქმე ისე მაინც უნდა იყოს მოწესრიგებული, რომ ამ მძიმე ულლის მატარებელთ ცხოვრების სალსარი ოდნავ მაინც შეუსუბუქდეს, რომ მასწავლებელი თავის პირდაპირ სამძიმო მოვალეობის აღსრულების

დროს ლუკმა-პურის მოსაპოვებლად კიდ
სხვა გარეშე საქმეს ძალაუნებურად ხელს ა
ჰკიდებდეს და ამნაირად არ ასუსტებდეს
სამძიმო მოვალეობის აღსრულებას, რომ
ლიც მისთვის სკოლას დაუკისრებია.

რუსეთის ყველა საშუალო და დაბალ სკ
ლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგ
მარეობა მეტად ვიწრო ფარგლითაა შემ
ზღუდული. შესაძლოა აწინდელ სკ
ლათა მასწავლებლების ნივთიერად უზრუნ
ველყოფას დროთა ვითარების გამო ოდეს
თავისი გასამართლებელი საბუთები ჰქონდ
ოდესმე შესაძლოა აწინდელი ჯამაგირები მა
წავლებლებს კიდეც აკმაყოფილებდა, მაგრ
ამ ჟამად-კი ცხოვრების ვითარება შესამჩნ
ვად შეიცვალა, ცხოვრება მეტად გართულ
და, მაშასადამე, ამის მიხედვით მასწავლებე
თა ნივთიერი მდგომარეობაც უნდა შეიცვ
ლოს, თორემ უამისოდ სკოლა,—ეს ყოვე
გვარი ჭეშმარიტი კულტურის მძლავრი ს
ძირკველი,—უმასწავლებლოდ, უხელმძღვან
ლოდ დარჩება.

ყველასათვის ცნობილია, რომ სოფლ
მასწავლებლის ნივთიერად შევიწროებუ
მდგომარეობა კალმით აუწერელია. მასწავლ
ბელი, რომლის მთელი შრომა და ენერგ
დღე და ღამ აუტანელ ვითარებაში სოფლ
სკოლათა შეგირდებს ეკუთვნის, თვიურ
ოც-ოც და ხუთს მანეთს ძლივს იღებს დ
ისიც ვინ იცის, როგორის გაჭირვებით
დაბრკოლებით. აქ მეტად მიგვაჩნია აღვიმა
ლოთ ხმა იმ ანბანურ ჭეშმარიტების შესახ
რომ ხალხის თვითცნობიერების დამკვიდრ
ბის საქმეში სახალხო მასწავლებელს ფასდა
დებელი სამსახური მიუძღვის, რომ სახალხ
სკოლის მასწავლებლის მოღვაწეობა ამ მხრ
მეტად თვალსაჩინო და სანუკარია. აქ აღ
ნიშნავთ მხოლოდ იმ სამწუხარო გარემოება
რომ ამ დაუღალავ მუშაკთა შრომა ნახევრ
დაც არა ფასდება, უბრალო მენაგვე უფრ
მეტს ჯილდოს იღებს, სანამ ეს ჩვენი თვი
ცნობიერების უანგარო და ჭეშმარიტი პი
ნერები.

ქალაქების დაბალ სასწავლებელთა მასწა
ლებლების ნივთიერი მდგომარეობა რომ გ
ვითვალისწინოთ, ვერც აქ შევნიშნავთ, სა
წუხაროდ, რომ საქმე რიგიანად იყოს მოწყ
ბილი. გარემოება შესამჩნევად შეიცვალ
აწინდელი ვითარება საგრძნობლად შეირ
მეტადრე ქალაქ ადგილას და, მაშასადამ
ცხოვრების მოთხოვნილებაც უფრო გამრ
ვალფეროვანდა და გართულდა. მასწავლებ
ლის ნივთიერი მდგომარეობა-კი ოდნავადა
არ შეცვლილა, მასწავლებლის მდგომარეო
ამ ჟამადაც იგივეა, რაიც ამ ოცის ოც
ათის წლის წინად იყო. სამოქალაქო სასწა
ლებლის მასწავლებელი თვიურად 58 მანე
იღებს; იგივე მასწავლებელი, მხოლოდ მ
წავლებლის თანაშემწედ წოდებული, 33 მ
ანეთს იღებს თვეში. განა შესაძლოა ან დას
ჯერებელია, რომ ამ ჯამაგირით ცოლ-შვ
ლიანმა და ისეც ინტელიგენტ მასწავლებე
მა კაცურად იცხოვროს მეტადრე ისეთს ქ
ლაქებში, როგორიცაა ბაქო, ტფილისი, ქ
თაისი და სხვა ქალაქები, საცა შეძლებუ
თაც-კი ეძნელებათ ცხოვრება გაუჭირვებლივ
როგორი მასწავლებლობა უნდა გასწიოს
პედაგოგმა, რომელიც ლუკმა-პურის მოპო
ბისათვის მუდამ დღე ცახცახებს, მუდამ ჟა
იმის ფიქრშია, ცოლ-შვილი სიმშილით
ამომიწყდესო.

საშუალო სკოლის მასწავლებლები თუმ
შედარებით უკეთეს გარემოებაში არია
მაგრამ მათი ნივთიერად უზრუნველ-ყოფ
სასურველად არაა მოწესრიგებული; საშ
ლო სკოლის მასწავლებელიც ცხოვრებ
ახლად წარმოშობილ ვითარების გამო ნი
თიერად შევიწროვებულია, რის გამო ძალ
უნებურად ასუსტებს იმ სამძიმო საქმის წ
მატებას, რომელსაც მოზარდ თაობის სწ
ლა-განათლების საქმეს ეძახიან.

არსებული შტატის მიხედვით საშუალო სკ
ლის მასწავლებელი წლიურად 900 მ. იღე
კვირაში თორმეტს გაკვეთილისათვის და
მ. თვითოეულ ზედ-მეტ გაკვეთილისას. ამ

თანავე მასწავლებელს ბინისათვის ეძლევა 240 მ- და, ვინც კლასის დამრიგებელია ან რვეულებს ასწორებს 100—150 მან. წლიურად. ზედ-მეტის გაკვეთილების მიღება სკოლის უმფროსის სრულს სურვილზეა დამოკიდებული, ასე რომ ადვილად შესაძლებელია მასწავლებელი სულ მცირე ან 12 გაკვეთილის ამარა დარჩეს სკოლაში. ამნაირად საშუალო სკოლის მასწავლებლის ჯამაგირი რომ ერთიანად გამოვიანგარიშოთ, დავრწმუნდებით რომ საშუალო სკოლის მასწავლებელიც არაა ნივთიერად უზრუნველ-ყოფილი.

ჭეშმარიტი მასწავლებელი მუდამ ჟამს თავის სპეციალ საგნის კვლევა ძიებაში უნდა იყოს, კვალ და კვალ პედაგოგიის განვითარებას თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს, ყოველთვის ინტელიგენტის სახელს ატარებდეს, მუდამ ჟამს ინტელიგენტად უნდა რჩებოდეს, და ყველა ეს-კი შესაძლოა, როცა მასწავლებელი ნივთიერად უზრუნველ-ყოფილია, როცა ლუკმა პურის მოსაპოვებლად გარეშე საქმეს არ დაეძებს.

ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში მასწავლებლების ნივთიერად უზრუნველ-ყოფის საქმეს თვით სკოლისვე საკეთილ-დღეოდ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ამ ქვეყნების მასწავლებელმა არ იცის, რაა მატერიალური შევიწროება, ნივთიერად უზრუნველ-ყოფილია, და ამიტომ მთელი მისი შრომა სკოლის გარშემო ტრიალებს, მთელი მისი ძალა და ენერგია სკოლას უნდება.

გერმანიაში, მაგალითად, საშუალო სკოლის მასწავლებელი ნივთიერად მეტად კარგს გარემოებაშია. მასწავლებლის ჯამაგირი თანდათანობით მატულობს. დღიურ გაკვეთილების რაოდენობა ოთხს საათს არ აღემატება, და ესეც ახალგაზრდა მასწაგლებელთათვის. შუათანა ხნის მასწავლებელს კვირაში აქვს არა უმეტეს თხუთმეტის გაკვეთილისა. ჯამაგირის რაოდენობა გავვეთილების რაოდენობით სრულიადაც არ განისაზღვრება. ამ შრომისათვის გერმანიის საშუალო სკოლის მასწავლებელი ამ თხუთმეტის წლის წინად იღებდა 1800—2800 მანეთს.

გერმანიაში საშუალო სკოლები უმეტეს ნაწილად ქალაქების ხარჯით ინახება და ქალაქების თვით-მართველობა მუდამ ჟამს იმის ზრუნვაშია, რომ მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა კიდევ უფრო კარგად მოაწყოს. ამ ჟამად გერმანიაში დასახელებულ ჯამაგირების რაოდენობა იმრიგად შესცვალეს, რომ ახალგაზრდა მასწავლებელი ორას თუმნამდე იღებს, ხოლო ეს ჯამაგირი 3300 მანეთამდის ადის, და ეს მაშინ, როცა მასწავლებელს აქვს კვირაში არა უმეტეს თხუთმეტის გაკვეთილისა.

ამნაირად გერმანიის საშუალო სკოლის მასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობა შედარებით უზრუნველყოფილია, თუმცა საზოგადოება და მასთან ერთად მწერლობა ხსენებულ ჯამაგირებსაც მცირეთა სთვლის და ყოველთვის იმას ამტკიცებს, რომ საზოგადოებას არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვს თავის შვილების მასწავლებელ-აღმზრდელების დაუღალავი შრომა ასეთის მცირედის სასყიდელით დააკმაყოფილოსო.

რუსეთში საშუალო სკოლების მასწავლებლების შრომა შედარებით ორჯერ მეტია; თხუთმეტი გაკვეთილის ნაცვლად აქაური საშუალო სკოლის მასწავლებელი მოხუცებულობის დროსაც ოთხს ხუთს გაკვეთილს აძლევს დღეში და ჯამაგირს-კი 3300 მანეთს თავის დღეში ვერ აიღებს. მასწავლებლის ჯამაგირის რაოდენობა რუსეთის საშუალო სკოლებში დამყარებულია გაკვეთილების რაოდენობაზე, რაიცა ორგვარად სამძიმო და სახიფათოა. ადვილად შესაძლებელია, რომ შტატის მასწავლებელმა დირექტორიან ამა თუ იმ პირადის ანგარიშის გამო 12 გაკვეთილის მეტი ვერ მიიღოს, და კიდევაც რომ მიიღოს, ხანში შესულმა მასწავლებელმა, აბა, როგორღა უნდა შესძლოს ოთხის და ხუთის გაკვეილის მიცემა დღეში?!

ჩვენის აზრით, ზემორე აღნიშნულს ვიათარებას, საშუალო სკოლის რეორგანიზაციის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, რომ სკოლის დაუღალავნი მუშაკნი, მდაბალი იქმნება ეს სკოლა თუ საშუალო, ნივთიერად აუცილებლივ უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ, თუ რომ გვინდა სკოლამ თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას არ უღალატოს, თუ გვინდა, რომ ახალგაზრდობის განვითარების საქმე უფრო მკვიდრ და საიმედო ნიადაგზე დამყარდეს. კერძოდ საშუალო სკოლისათვის საჭიროა: 1) მასწავლებლის ჯამაგირი გაკვეთილების რაოდენობაზე არ იქმნეს დამოკიდებული; 2) დღიურ გაკვეთილების რაოდენობა განსაზღვრულ დროის მიხედვით უნდა მცირდებოდეს, ასე რომ ხანში შესულ მასწავლებლის გაკვეთილების რაოდენობა კვირაში 15 გაკვეთილს არ უნდა აღემატებოდეს და 3) ახალგაზრდა მასწავლებლის ჯამაგირი განსაზღვრულ დროის განმავლობაში თანდათან უნდა მატულობდეს. ამა თუ იმ ჯამაგირის დანიშვნის დროს საჭიროა არ იქმნას დავიწყებული მასწავლებლობის შრომის სიმძიმე და აწინდელი ეკონომიური მხარე. თვით სკოლის ნაყოფიერად წარმოებისათვის ჯამაგირების რაოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ მასწავლებელი იძულებული არ იყოს გარეშე რამ საქმეს გამოეკიდოს, მასწავლებელს შეეძლოს პედაგოგიის განვითარებას თვალყური ადევნოს და საზოგადოდ მუდამ ინტელიგენტ კაცად დარჩეს.

რუსეთის მწერლობამ დიდი ხანია რაც აღნიშნა სკოლის დაუღალავ მოღვაწეთა ასეთი ნივთიერი შევიწროების სრული შეუსაბამობა, მაგრამ სამწუხაროდ, აქამომდე საქმის აწინდელი ვითარება სრულიადაც არ შეცვლილა. ამ ჟამად თვით მთავრობამ მიაქცია ყურადღება მასწავლებელთა მდგომარეობას. მთავრობას აზრად აქვს რამდენადმე მაინც შესცვალოს მასწავლებელთა აწინდელი მდგომარეობა. მთავრობის ასეთი განზრახვა დიდ-მნიშვნელოვანია და თუ საშუალო სკოლის რეფორმის დროს მთავრობამ საკეთილოდ განახორციელა ეს თავისი განზრახვა, ჩვენის აზრით, სკოლას ნამდვილი და ჭეშმარიტი მოღვაწენი თავის დღეში არმოაკლდება, სკოლა ამის გამო ყოველთვის ნორმალურად, ნაყოფიერად იმოქმედებს. თუ ასე არ მოჰხდა, ჩვენის ახალგაზრდობის გონებრივად წარმართვის საქმეს ხელთ იგდებენ თვით გონებრივად ღატაკნი და მათი მოღვაწეობა-კი მასწავლებლის სამძიმო ასპარეზზედ აშკარაა, ვერავითარს სარგებლობას ვერ მოგვიტანს.

ა. ყუმისთაველი.

ართვინის ქართული სახარება.

ფრანგმა ედუარდ დიოზენმა გვაცნობა: შარშან ზაფხულს, დასავლეთ საქართველოში ვმოგზაურობდით და, სხვათა შორის, ართვინშიაც ვიყავით. იქ, სომხის ტაძარში მაჩვენეს მე-XI—XII საუკუნის ქართული სახარება. ეს სახარება ტყავზეა დაწერილი. მისი მხატვრობა და გაზმულობა ნაკეთებია საოცარის ხელოვნებით. შიგ დახატულია სხვა-და-სხვა ისტორიული კაცები. საზოგადოდ, ეს წიგნი ძვირფასი რამ საუნჯეა და ჰღირს იმად, რომ დიდი ყურადღება მიაქციოთო.

გასაშტერებელია ჩვენი დაუდევრობა. უცხოელება მოდიან, ჩვენს წარსულ ნაშთებს სწავლობენ, ჩვენ წინაპართა მიერ კულტურულ შენაძენით სტკბებიან და თვით ჩვენ-კი, ჩვენ, ქართველები, იმ შენაძენებს უგულებელ ვჰყოფთ, მათ შემსწავლელებსაც ხშირად დავცინით და აბუჩად ვიგდებთ...

უწინ ბაგრატიონები ჩვენში ითვლებოდნენ მწიგნობრობისა და სიტყვიერების მეცენატებად, მფარველებად. სამშობლო მწერლობას, მხატვრობას და ყველა საწადმართო საქმეს დიდის გულმოდგინებით ეპყრობოდნენ, თითონაც შრომობდნენ და სხვებსაც ამუშავებდნენ. დღესაც არიან იმ ბაგრატიონების ღვიძლი შვილები და იმათსავით გული შესტკივათ ქვეყნისათვის. მაშ, რადას ელიან? რატომ არ აღმოუჩენენ შემწეობას იმათ, რომელნიც საქართველოს წარსულ ცხოვრების შესწავლას შესდგომიან, რომელნიც ჯანსა და ღონეს არ იზოგვენ, ოღონდ დროთა ბრუნვამ არ წაშალოს და არ გააქროს სახელოვანად გავლილი კვალი ქართველთა ერისა. რადას და ვიდას ელიან ბაგრატიონები, მელიქიშვილები, წერეთლები, ორბელიანები და ყველა ჩვენი თავადიშვილები, ყველა ჩვენი სასულიერო დასი, მთელი ჩვენი ერი. ნუთუ დრო არ არის, შევუდგეთ საქმეს, ხალისიანად მოვკიდოთ ხელი ჩვენის თავისვე მოვლა-პატრონობას, ჩვენის სამშობლოს შესწავლას ისტორიულ-გეოგრაფიულის, ეთნოგრაფიულ-მწიგნობრულის და ეკონომიურ-მრეწველობის მხრივ.

მაშ შევუდგეთ საქმეს ყველანი ერთად, ძმურად.

ბერი.

გავაუმჯობესოთ მეურნეობა.

(წერილი ქუთაისიდგან).

მეურნეს მაშინ დაებადება სიყვარული მეურნეობისა, სურვილი მის ამა თუ იმ ცალკე დარგის გაუმჯობესობისა, როდესაც, უპირველესად ყოვლისა დაინახავს ამ დარგისაგან სარგებლობას. სურვილი დარჩება სურვილად, თუ მეურნემ არ იცის, რა რიგად მოჰკიდოს ხელი საქმეს, რა ნაირად დაიწყოს გაუმჯობესობა მეურნეობისა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა მაგალითებით ერთობ სუსტია და ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მეურნემ უნდა დაიჯეროს მხოლოდ ქადაგება და რჩევა საქმის მცოდნეთა.

ბევრს ჩვენს მემამულეს კარგად ჰქონდა გაგებული, რომ სხვა ქვეყნებში იციან ისეთი გუთნები, რომლებიც ათასჯერ უკეთესია ჩვენებურს გუთნებზედ. ამ გაგონებამ გააჩინა სურვილი იმ გუთნების შეძენისა, სურვილი, რომ გაეცნოთ სხვა-და-სხვა გუთნებიც და სამეურნეო იარაღიც საზოგადოდ, მაგრამ ჩვენში ვინ იქნებოდა ისეთი, რომ გამოეწერა სხვა-და-სხვა იარაღი, რომ საეგებიოდ ფულები დაეხარჯა. ამ საქმეში მოთავე უნდა ყოფილიყო ვინმე ან მეურნეთაგანი, ან და მთელი საზოგადოება, რამდენიმე ამხანაგი. უფულობა ყველას უკარგავდა იმ სურვილს, რომ დაეკმაყოფილებინა საზოგადოების მოთხოვნილება.

ბოლოს ერთმა კერძო კაცმა ბ-ნმა პეტრე პავლეს ძემ ფეიქაროვმა გამოიწერა მრავალი გუთნები, სიმინდის სამარგლავი და საფშხვენი, ჩალის საჭრელი და სხვა-და-სხვა იარაღი. ამასთან ისიც გამოაცხადა: „ვისაც ფულის ერთად გადახდა არ შეგიძლიათ რომელისამე იარაღისა, მოგვეცით იმდენი, რამდენიც შეგიძლიათ და შემდეგ ორი-სამის თვისა—დანარჩენიო: ვისაც ეს არ შეგიძლიათ, თავიდანვე ცოტა რამის მაინც შემოტანა—ისიც რამდენისამე თვის შემდეგ მომეცითო“.

უკეთესი პირობა, მგონია, მოუხერხებელია. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ბ-ნმა ს. პ. ფეიქაროვმა რამდენიმე ასი მანეთი (შეიძლება ათასიც) დაჰკარგა. ბევრი იარაღი, დიდად გამოსადეგი, გაუყიდელი დარჩა და, ვინც პირობით წაიღო, აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია, ფული ჯერ არ შემოუტანია.

ამ გარემოებამ, მგონია, ყველა თოსანს გული უნდა მოუკლას, საქმე შეაძულოს. ბ-ნი ფეიქაროვი-კი თითონ წავიდა ევროპასა და ამერიკაში და გაიცნო საუკეთესო ფირმები, სამეურნეო იარაღი ამერიკაში იყიდა კიდეც სხვა-და-სხვა მანქანები და წამოიღო თავის სამშობლოში გასავრცელებლად. ბ-ნმა ფეიქაროვმა წარსულს თვეში ამერიკიდგან გამოიწერა სხვა-და-სხვა სისტემის ხელოვნურად წიწილების გამოსაჩეკი ფუთებიც (ინკუბატორები.). და მალე მოუვა კიდეც.

მოვყვეთ მეურნეობას უფრო ბეჯითად, უფრო მხნედ, იმის მეტი წელში არა გაგვასწორებს-რა და არ მოგვაშორებს დამამცირებელს და გამანადგურებელს სიღარიბეს.

ნ. მეურნალი.

ჩვენებური ამბები

ჩუმლაყი (სიღნაღის მაზრა). მოედო ავკაცობა სოფელს ისე, რომ ამისთანა სიავე აქეთ ჯერ არასდროს არა ყოფილა.

მთელი შემოდგომა და ზამთარი მეტად შეგვაწუხა ქურდობამ და სხვა გვარმა ავკაცობამ. ახალმა ამორჩეულმა მამასახლისმა, თუმცა ბევრსა გვპირდებოდა შარშან ზაფხულს, ავკაცობას მოვსპობო, ვერა გვიშველა-რა.

ამინდი ძლიერ კარგია აქეთკენ, მაგრამ საქონლის უსაქმელობის გამო ხალხი ძლიერ შეწუხდა და, თუ კიდევ გაგრძელდა ასეთი ამინდი, საქონელი ძლიერ დაზარალდება, ნამეტნავად წვრილ ფეხი.

ხევისპირელი.

თელავი. აქ კიდევ ხელ-მეორედ მოვიდა თოვლი, მაგრამ მეორე-მესამე დღეს დადგა მშვენიერი თბილი დღეები და ეს თოვლი წყლად აქცია. ამას მოჰყვა საშინელი ქარი. 12 თებერვალს, საღამოთი ისეთი ქარი ადგა, რომ აქაურობას ჰკლეჯავდა. წლეულს კახელებს დიდი ზარალი მოუვიდათ ღორის ავადმყოფობით. ვისაც 100 სული ღორი ჰყვანდა, 20 ღორი დარჩა. მთელი ყასაბხანა რომ დაიაროთ, ღორის ხორცს ვერ იშოვნით.

ეს ზამთარი ისე წაკიდა, რომ წარმოდგენა არავის გაუმართავს. ბატონმა გოშაძემაც სხვას მიჰბაძა.

ვასო.

ბორჩალო. რამდენი ჭირ-ვარამი აწუხებს ბორჩალოელ ქართველს. წარსულ წელს „ივერიის“ სვეტებზედ მშვენივრად იყო აღბეჭდილი. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ჟამად საზოგადოება კარგად სცნობს ყოველს გასაჭირს ბორჩალოელ გლეხისას, მაგრამ კიდევ რამდენი მოულოდნელი სევდა უხეთქავს გულს ამ დღითი-დღიდგან გატანჯულს ერს, ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოაშკარავებული...

სოფელს ტანძიაში, ზედ შობა დღეს, როდესაც ყოველი ქართველის გული მიეცემა ხოლმე სიხარულს, სოფლის მოედანზედ გამოერეკნა უღელი ხარი ერთ გლეხთაგანს და ემზადებოდა ქალაქისკენ გასარეკად. მარცხენა ხელში ეჭირა სველი პირსახოცი და იწმენდავდა ნაკადულივით მდინარე ცრემლს და მარჯვენა იღლიაში ამოედო სუფთა ხელ-სახოცში გამოკრული წერილი ხარკოვიდგან მოწერილი.

გლეხს შემოხვეოდა მთელი სოფელი. ზოგი ანუგეშებდა, ზოგი-კი ჩასციებოდა საწყალს გლეხს და ისედაც შეშინებულს გულს უხეთქავდა:

— ბიჭო, ლევან, — ეუბნებოდა მოხუცებული გაყრილი ბიძა, — ემანდ, შვილოსა, საცინბიროდ არ გაიხადო თავი. ტირილით ვერ მოირჩენ თავს, დროზე წაასხი ე საქონელი, გაყიდე და გაუგზავნე ძმას, თორე, ძმავ, თუ საქმე მინისტერამდინ წავა, არც ჩვენ დაგვეყრება კეთილი! მარტო შენზე არ არი, ძმაო, ჩვენც ყველასა გვყავს გაგზავნილი „სალდაპტათ“ ბიჭები, მაგრამ ყოველ თვე უგზავნით ფულს. შეხედე შენს ღმერთს, გეცოდებოდეს სოფელი; არ დაიღუპო თავი და ქართველობა.

ამ აურ-ზაურმა ძალა უნებურად მიმაბრუნა შეყრილ ხალხისაკენ. კაცს, რომელსაც გასაყიდად ხარები გამოერეკა, ფეხებ ქვეშ ჩავარდნოდა ცოლი და ცხარე ცრემლით ევედრებოდა ქმარს, გამოებრუნებინა ხარები, ესესხნა ფული და გაეგზავნა ძმისათვის, ხვეწნით და მუდარებით, რომ აღარ ეჩივლნა თავის უფროსთან.

როდესაც შევეკითხე თავ-მოყრილ გლეხობას, აი რა აღმოჩნდა: ლევანს ჰყოლია ძმა გაგზავნილი ხარკოვში მხედრად, რომელსაც ყოველ წლივ უგზავნის ფულს. ფულის გაგზავნა ამ ჟამად ლევანს დაჰგვიანებია და ძმას წერილით შემოუთვლია, რომ გაყიდეთ ჩემი ხვედრი საქონელი და სარჩო-საბადებელი და გამომიგზავნეთო, თუ არა მინისტერს ვუგზავნი საჩივარსაო. მთელი ხალხი ჭეშმარიტად ფერ ნაცვლილი იყო, ლევანი-კი შიშის ზარს აეტაცნა და კანკალით მითხრა: ბატონო, რაღათ ანათებს მზე, თუ ამ ჩემ შემნახველ ხარებს გავყიდი და ჩემ „სალდაპტს“ ძმას მევე შევინახავ? აი, რვა თვის უკან სახლში დაბრუნდება. და რამ უნდა დაგვარჩინოს ორი ოჯახი უხარებოთ? ანდა, ბატონო, ან დამრიგებელი არა ჰყავთ, რო ამ გულ სახეთქ წერილს აწერინებენ, აი გარდიკითხეთ და ნახეთ, რომ თითქო დარიგებით არის ნაწერი, თორე ჩემმა ძმამ რა იცის, სად არი „ვაენი მანიჰტერი“? თუ არა და „პრიტავი“ ველარ მომერია, რო იქამდინ არ მიახწევინოს საქმეს?.. ხელში მომაწოდა სუფთა ხელსახოცში გახვეული წერილი, რომელზედაც პოჩტის ღერბი 16 დეკემბრიდან იყო დირტყმული წარსული წლისა, წერილში შემდეგი ეწერა; „1902 г. 15 **декабря**. ჩემო ძმაო ლევან. პირველად ბრავალ მოკითხვას მოგახსენებ. არც ფულს მიგზავნი, ამდენი ცდა მეყო, ფული მიჭირს, როგორც იქნება ფული გამომიგზავნე. გაყიდე ჩემი ნაწილი და გამიამიგზავნეთ. ფული მიჭირს,

---

ფელეტონი

ხმა უდაბნოსა შინა

ყველგან ტირილი,
კვნესა, ჩივილი,
უსასოება, უსუსურება...
ვაი ჩვენს გულსა,
შიშით მოცულსა:
ბუდეს იკეთებს იქ უძლურება!
არა რა გვართობს...
ბუზიც-კი გვაფრთხობს!
გვიტყდება, ძმებო, ყველგან სახელი.
ოდესღაც გმირი,
მტერთათვის ჭირი
მასხრად აიგდეს ეხლა ქართველი!
კმარა ძმობილნო,
ლომ-გულთა შვილნო!
ვაჟკაცს არ შვენის დიაცის ცრემლი.
წყვდიად სიბნელეს,
ჭირს, გულის დამწველს
გაჰკვეთს, განაბნევს გონების გრდემლი!
წინ, ნუ შედრკებით,
ნუ უკუ სდგებით!
ჯერ სადავოა ბრძოლისა ველი.
ძმანო, ერთობა,
კავშირი ძმობა!
ჩვენს გულში არის ჩვენივე მსხნელი!
ეს ცნება მარად
გვექნეს ჩვენ ფარად:
ერთმანეთისა ჭირში გატანა
და ვილარ გვავნებს
ვერ შეგვაშინებს
მაშინ ჩვენ თვითონ—მძლავრი სატანა!

კ. მაყაშ—ი.

ჩვენის საზოგადო მოღვაწეობის ნიმუშები.

(იმის გამო, თუ რას მოხმარდეს უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან.)

(შემდეგი *)

თითონ სტიპენდიის მოწინააღმდეგენი გვიმტკიცებენ, რომ გიმნაზიის დაარსება ყოველ 8—10 წლის განმავლობაში 500—600 განათლებულს კაცს შესძენს საზოგადოებასაო. ნახევარ საუკუნეზედ მეტია, რაც ქუთაისში გიმნაზია დაარსებულა. თუკი გიმნაზიაში შესული თავის სურვილს მიაღწევს; თუკი მაგალითიც არ ყოფილა, რომ გიმნაზია გათავებულს სწავლა ვერ განეგრძოს და მაღალი განათლება ვერ მიეღოს, მაშინ მოყვანილის ანგარიშით, მაღალ განათლება, მიღებულთა რიცხვი დღემდის ორი ათასზედ მეტი უნდა უნდა ყოფილიყო. მერმე სად არის ესა? ჩვენ-კი ამის მზგავსსაც ვერას ვხედავთ. მაგრამ ნუ ვერწმუნებით სავარაუდო ანგარიშს და საზოგადო მოსაზრებას, მოვისმინოთ ფაქტები, რომელიც ქუთაისის გიმნაზიის დირექტორად ნამყოფს ბ-ნ სტაიანოვს მოჰყავს.

„ქუთაისის მაზრის სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა 1 იანვარს 1850 წ. თავდაპირველად აზრად ჰქონდათ გიმნაზია 200 მოსწავლისათვის; 1850 წ-დგან 1855-მდის მართლაც მოსწავლეთა რიცხვი ტრიალებდა 250 და 300 შუა. პირველი აღმოსავლეთის ომის დროს მოსწავლეთ რიცხვმა დაიკლო (1854 იყო 243, 1855—174). ომის შემდეგ მოსწავლეთ რიცხვი გაუწყვეტლად მატულობს და 300-გან 600-დე მიაღწევს. (1855—1766 იყო 614), მეორე აღმოსავლეთის ომის დროს მოსწავლეთ რიცხვმა ისევ დაიკლო (1876—1877 იყო 443). 1877 დგან ისევ გაუწყვეტლად მატულობს მათი რიცხვი და 600 აღის. ეს რიცხვი ნორმალურია გიმნაზიის შენობის მიხედვით.

სწავლა-დამთავრებულთა რიცხვი სიზოგადოდ მოსწავლეთა რიცხვთან შედარებით ძლიერ მცირე არის და 1870—71 სამოსწავლო წლამდის ერთხელაც არ გარდაცილებია 20-ს. პირველად 1856 წ. იყო მარტო ერთი, 1857—2, 1858—4, 1859—5, 1860—8, შემდეგ წლებში maximum 19 იყო 1866—1867 სამოსწავლო წელს, minimum—8 1867—1868 სამოსწავლო წელს.

1870—1871 წელს ახალის წესდების ძალით მეშვიდე კლასის მეორე განყოფილების დაარსების წინ იყო უფრო მომეტებული რიცხვი სწავლა-დამთავრებულთა—35. ახალის წესდების შემოღების შემდეგ 1881—1882 სამოსწავლო წლამდის სწავლა-დამთავრებულთ რიცხვი ერთხელაც არ გადაცილებია 20-ს. (maximum 16 იყო 1876—1877, minimum 6—1877—1878.

რაც გიმნაზია დაარსებულა 1850-დგან 1884 წ. დამლევამდის ყველა წლებზედ მომეტებული რიცხვი სწავლა-დამთავრებულთა ყოფილა 1881—1882 წელს—37. შემდეგ—1882—1883 წ. სწავლა დაუმთავრებია 20 და 1883—1884 წ.—25. სულ 34 წლის განმავლობაში 1850 წლიდგან სწავლა დაუმთავრებია 347 კაცს“. საშუალო რიცხვით 12—13-ს წელიწადში. *)

ეს ციფრები აშკარად გვიმტკიცებენ, რომ მარტო გიმნაზიაში შესვლა კიდევ არ ყოფილა ბედნიერება. იქ შესულთაგან დიდს უმეტესობას ვერ დაუმთავრებია სწავლა. ბავშვი ძალდატანებით არავის შეჰყავს სასწავლებელში. პირ-იქით, იგი ტირილით ბრუნდება მშობელთ საფარველს ქვეშ, როდესაც ვაკანსიის უქონლობისა გამო არ მიიღებენ. შრომა არის თანშობილი თვისება კაცისა და შრომა მეცნიერების შესაძენად არის შრომათა შორის უსიამოვნესი. მაშ რა მიზეზია, რომ დიდი უმეტესობა არ ამთავრებს გიმნაზიას? რათ სტოვებს იგი იმ სასწავლებელს, რომლისაკენაც თავდაპირველად ასეთის ხალისით მიისწრაფის? ყური დავუგდოთ იმავე ბ-ნ სტაიანოვის ანგარიშს.

„თუმცა ქუთაისში ორი საქველ-მოქმედო საზოგადოება არსებობს, თუმცა პედაგოგიური საბჭო ხელ-მოკლე მოსწავლეთ შემწეობას აძლევს იმ ფულიდგან, რომელიც ამ საგნისათვის ყოველ-წლივ გარდაიდება ხოლმე, მაგრამ მოსწავლეთა სიღარიბემაინც ისედიდია, რომ სერიოზულ და თითქმის უძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენს მოსწავლეთა ბინების გამართვის საქმეში. დიდ-ძალ ნაწილს მოსწავლეთა სახლიდგან მოსდის ყოველ თვეობით მხოლოდ მცირეოდენი სიმინდი და ღვინო და ზოგიერთებს კიდევ ორიდგან ექვს მანეთამდის ფული. ამის გამო მოსწავლენი დგანან ცივ, ვიწრო, ბინძურ და ყოველ-მხრივ ანტიჰიგიენურ ბინებზედ. ხანდახან რამდენიმე კაცი სდგას ერთად ქუთაისის რომელსამე მოქალაქესთან ამხანაგურის წესით, შეაქვს თავის წილად ფქვილი და ამასთან კიდევ რამდენიმე კაპეიკი დღეში სახარჯოთ. სამწუხაროდ, ქალაქის სამმართველოს თითქმის არაფერი არ მიუცია ღარიბ მოსწავლეთათვის და სააზნაურო ბანკმა თუმცა ამისწინედ რამდენიმე ასი მანეთი გარდასდვა მათ დასახმარებლად, მაგრამ წელს სრულიად ხელი აიღო ღარიბ მოსწავლეთა შემწეობაზედ; ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ღარიბ მოსწავლეთ უმრავლესობა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შვილები არიან.

„სამოსწავლო ბინების რიგიანად მოწყობას ხელს უშლიან თითონ პატრონები ბინებისა. სამინისტროს წესების შესრულება არა სურთ და არც შეუძლიანთ; მაშინ სრულიად უნდა

---

*) იხ. „ივერია № 38.

*) Отчетъ о состоянии Кутаисской гимназіи за 1884 г. составилъ директоръ А. И. Стаяновъ. Кутаисъ 1885 г. стр. 1—3.

ფული. რაცხაფერად იქნება ფული გამომიგზავნეთ უსათუოთ. ჩემი წილი გაყიდეთ და გამომიგზავნეთ ნამეტანი მიჭირს. თუ ფული არ გამომიგზავნეთ ეს წერილი რო მიიღოთ, მე გიჩივლებთ გენერალთან, გენერალი მოსწერს ღუბერნატორს, ღუბერნატორი მოსწერს პრისტავს, პრისტავი თვალებს დაგთხრით, ფულს გაშოვნინებს და გამომიგზავნიან. ეს იცოდე, რომ გიჩივლო ჩემ დიდ უფროსთან და ყურადღება არ მოაქციოს ღუბერნატორმა და პრისტავმა, მაშინ ჩემი გენერალი მისწერს ვაიჩი მინისტერსა, მინისტერი შავს დღეს დააყენებს შენს ღუბერნატორს და პრისტავს, თქვენ ნაობახტში დაამწყვდევენ, ჩემ ნაწილს გაჰყიდიან და გამომიგზავნიან. მე გთხოვთ ნუღარ მიჩივლებთ და ისთე გაყიდეთ ჩემი წილი და გამომიგზავნეთ. მე კარგათა ვარ, ხოლოდ ფული გამომიგზავნეთ საჩქაროდ, ამ ადრესით...

ასე თავდება წერილი. რამდენმამე შეგნებულმა კაცმა ლევანის გული დაუმშვიდეს და ხარებიც უკან დააბრუნებინეს და აცილეს მისი ხელ-მოკლე ოჯახი საყოველდღეო სიმშილს... მაგრამ მთელი ოჯახი ლევანისა შიმშით იხოცება დღემდეც...

ამის შემდეგ კიდევაა გასაკვირი, თუ რად დაეცა ქართვლის ოჯახი ნივთიერად და სულიერად?

მ. სტ. ბაიდოშვილი.

უცხოეთი

ბულგარია. როგორც მკითხველმა უწყის, ბულგარიის მთავრობამ უკიდურესს ღონისძიებას მიჰმართა მაკედონიის კომიტეტების შესახებ, მისი ხელმძღვანელნი შეიპყრო და თვით კომიტეტების არსებობაც სრულიად მოსპო თავის სამფლობელოში. თუ რამდენად ძნელი და სახიფათო იყო მთავრობისათვის ასეთ გარდაწყვეტილებას დასდგომოდა, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ სრულიად დაეკარგა გავლენა და ნდობა საზოგადოებისა, ცხადად სჩანს შემდეგიდგანაც: სოფიაში მოხდა ყრილობა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო და მთავრობის განკარგულების შესახებ ჰქონდა თათბირი.

„დღეს, 1903 წ. 2 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, მოხდა ყრილობა პოზიტანოს მოედანზე სოფიის მრავალრიცხოვან მოქალაქეთა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ვ. დიამანდიევი და მდივნობდა დოქტორი იანჩულევი; მოვისმინეთ სიტყვები: ტაკევისა, შანგოვისა, პოპოვისა და დოქტორ იანჩულევისა, რომელთაც ილაპარაკეს: 1) შესახებ პოლიციის მოხელეთაგან მაკედონია-ადრიანოპოლის მთავარ-კომიტეტისა და საზოგადოებათა სადგომების გაუქმებისა მხოლოდ იმიტომ, რომ იგინი მაკედონია-ადრიანოპოლის ორგანიზაციის წარმომადგენელნი იყვნენ, და 2) მინისტრთა თავმჯდომარის დოქტორ დანევის გუშინდელ განცხადების შესახებ, —პოლიციამ უნდა გააუქმოს მაკედონია-ადრიანოპოლის ყველა საზოგადოებაო; ყრილობამ დაადგინა:

1) ვგმობთ ასეთ თავგასულობას მთავრობისას, რომელმაც პოლიციის საქმეში გარევით შებღალა ბულგარიის მოქალაქეთა საკონსტიტუციო უფლებებზედ ამ ათის წლის წინად დამყარებულ თავისუფალ კორპორაციათა ორგანიზაცია, რომლის კანონიერებას თვით მთავრობა აღიარებდა და გულმხურვალედ იცავდა გუშინდლამდე;

2) წინააღმდეგობას ვუცხადებთ და ვკიცხავთ მთავრობის სიმხდალეს, რომელმაც ნება მისცა უცხოელებს ჩამორეოდნენ ჩვენს შინაურ საქმეებში, და ამგვარად დაამცირა ჩვენი ეროვნული ღირსება, სააუგოდ გაჰხადა ჩვენი ძმური თანაგრძნობა ბარბაროსთა მონობაში მყოფი მაკედონიისა და ადრიანოპოლის ვილაიეტების ბულგართადმი.

3) მივმართოთ თხოვნით ხალხის წარმომადგენლებს, რათა აღდგენილ იქმნას ბულგარიის მოქალაქეთა უფლებანი შესახებ თავისუფალ კორპორაციებისა; დაიცვან მთავრობის თავგასულობის წყალობით ბულგარიის თავისუფალ მოქალაქეთა შეგინებული გრძნობანი მათის ძმებისა—ოსმალეთის ტირანიისაგან წამებულთადმი;

4) მოვითხოვეთ, რომ გაანთავისუფლონ და დაიბრუნონ დაპატიმრებულნი და გაძევებულნი მაკედონელნი მოღვაწენი;

5) ვუცხადებთ სრულს თანაგრძნობას დაპატიმრებულ და გაძევებულ მაკედონია-ადრიანოპოლის წმინდა მამულიშვილურ საქმის მოღვაწეთ;

6) დავავალოთ ამ ყრილობის ბიუროს ჟურნალ-გაზეთობის წყალობით საყოველთაოდ გამოქვეყნდეს ჩვენი დადგენილებანი.

თავმჯდომარე: ვ. დიამანდიევი
მდივანი: დოქტორ იანჩულევი.

სერბია. გაზ. „N. Fr. Pr.“-ში მოყვანილია საუბარი ამ გაზეთის ერთის მეგობრისა სერბიის მეფე ალექსანდრესთან. სიტყვა ჩამოვარდნილა მაკედონიის საქმეთა შესახებ. მეფეს ის აზრი გამოუთქვამს, რომ რეფორმები მარტო მაკედონიაში-კი არა, უმთავრესად, ძველს სერბიაში უნდა შემოიღონ, რადგან იქ უფრო საჭიროა, ვიდრე მაკედონიაშიო.

ოსმალეთის ადმინისტრაციის უხეირობა, ალბანელ მუსულმანთა უდიერობა ძველს სერბიაში სწორედ აუტანელი ხდება. აი, იქაა ყველაზედ უფრო საჭირო რეფორმების შემოღება; მხოლოდ, თუ სახეში არ მიიღეს მკვიდრთა უმთავრესი საჭიროებანი, რეფორმები ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს მკვიდრ სერბთა. აუცილებლად საჭიროა, რომ მუსულმანთა და არა-მუსულმანთა სამოქალაქო უფლებანი გათანაბრებულ იქმნას; სერბებს უფლება უნდა ჰქონდეთ, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო და სამოსამართლო ადმინისტრაციაში; ყოველი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ მოისპოს ათას გვარი ბოროტ-მოქმედება გადასახადების აკრეფის დროს, რომლითაც ასე არიან დაჩაგრულნი დღეს სერბები.

იმის შესახებ, —სასურველია, თუ არა, თვით-მმართველობის დამყარება მაკედონიაშიო—მეფეს უთქვამს, რომ თვით-მმართველობას მეტად ცუდი შედეგი ექნება მაკედონიის მკვიდრთათვისო. თვით-მმართველობა არამც თუ არ დააკმაყოფილებს ვისმე მაკედონიაში, პირიქით, დამღუპველ მეტოქეობას გამოიწვევს სხვა-და სხვა მოდგმის მკვიდრთა შორის. თვით-მმართველობის დამყარებისათანავე იგინი ყელში სწვდებიან ერთმანერთს, ასტყდებიან დაუსრულებელი დავი-დარაბა და, გარდა იმისა, რომ ვერაოდეს ვერ ეღირსებიან რიგიან სახელმწიფო წესწყობილების დამყარებას, საერთაშორისო ურთიერთობასაც არ ექნება მოსვენება მათის წყალობითაო.

ოსმალეთი. ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ელჩებმა უკვე გადასცეს დიდს ვეზირს საერთოდ შემუშავებული ნოტა მაკედონიაში რეფორმების შემოღების შესახებ. აი, უმთავრესი მუხლები ამ ნოტისა.

1) დანიშვნა გენერალ-ინსპექტორისა, რომელიც შესაფერისის უფლებებით უნდა იქმნას აღჭურვილი, სამის წლით.

2) დანიშვნა ევროპიელ ჟანდარ-ოფიცერთა.

3) თავ-თავის დროზედ დარიგება ჯარისა და მოხელეთათვის ჯამაგირისა ოტტომანის ბანკის შემწეობით, რომელმაც უნდა მოჰკრიბოს ხოლმე სხვა-და-სხვა გადასახადები.

—

პარიჟის უნივერსიტეტი (საკუთარი კორესპონდენტისაგან). პროფესორს ბერგსტონს „College de France“-ში ფილოსოფიის კათედრა აბარია და წელს ხელმძღვანელობს ორ კურსს: ერთი შეეხება არისტოტელის ფიზიკის მეორე წიგნის გარჩევას, მეორე—საბერძნეთის ფილოსოფოსთა იდეიას დროს შესახებ. უკანასკნელი კურსი პირდაპირი გაგრძელებაა წარსული წლის კურსისა. მთელი წლის განმავლობაში პროფ. ბერგსტონი ცდილობდა გამოერკვია დროს შესახებ იდეია, შეესწავლა და გარდაეწყვიტა იგი. ამ გვარად ამ წლის კურსი არის იმავე დროს გაგრძელება წინანდელისა და დასაწყისი ახალი ლექციებისა, რომლებშიაც პროფ. ბერგსტონი ისტორიულად განიხილავს დროს შესახებ საკითხს, რასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიისათვის.

ზევით ვამბობდი, რომ გასულ წელს პროფ. ბერგსტონმა მხოლოდ დასვა საკითხი დროს იდეიის შესახებ, თუ რას შეიცავს ჩვენი წარმოდგენა დროზე. ის ეცადა გაეწმინდა და გაემარგლა დროს შემეცნება, თუ-კი რამე შეპარულა მასში, და რაც აბნელებს მხოლოდ საკითხის გარდაწყვეტას და მეტს არაფერს შვრება. პირველ ყოვლისა პროფ. ბერგსტონმა ნახა, რომ ყველას მიერ მიღებულ დროს შემეცნებაში ბევრი ყალბი რამ ურევია რომელიც დროს პირდაპირ ეწინააღმდეგება.

უბრალო კორესპონდენციაში არ შემეძლება უფრო ვრცლად შევეხო ბერგსტონის შეხედულებას, მის საბუთებს, აზრის თანდათან განვითარებას. მე მხოლოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ამ საგნის შესახებ.

მე ვსთქვი, რომ, ბერგსტონის აზრით, ბევრი შეცდომები და ყალბი ადგილები შეპარულა დროს იდეიაში-მეთქი.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენებური დროს დაყოფა საათებად, წუთებად, წამებად და სხ. ჩვენი აზრით და წარმოდგენით საათი, წუთი და წამი რაღაც დასრულებულს წარმოადგენს. ერთი საათი ჩვენი აზრით ჰნიშნავს დროს ცნობილ ნაწილს, ცნობილ ერთეულს, რომელიც მცირესა და დასრულებულს ნაწილს შეადგენს დროისას. ამ გვარად ჩვენი წარმოდგენით დრო მუდამ იყოფა პატარ-პატარა ერთეულებად. ან და პირ იქით: დრო შესდგება დროს დაოთხკუთხებულ ერთეულებისაგან.

ყოველ ერთეულს დროისას ჩვენ ვუყურებთ ისე, რომ მას ჰქონდეს ვითომც თავისი დასაწყისი და დასასრული: საათი დაიწყო და დასრულდა კიდეც. იყო მომენტი, როცა საათი დაიწყო და გათავდა, ე. ი. შეჩერდა. ერთს საათსა და მეორე საათს შუა, ჩვენი ფიქრით, არის დრო, მომენტი შეჩერების: შესრულდა ერთი საათი, დადგა, მერე მეორე დაიწყო, მესამე და ასე ბოლომდის...

ამ გვარი წარმოდგენა, რასაკვირველია, მეტად ყალბია და შემცდარი. დრო არასოდეს არ დგება, არ ჩერდება, თვითოეული მომენტი მისი გაგრძელებაა წინანდელისა და დასაწყისი შემდეგისა. დრო თავის თავად შეიცავს წარსულსა და მომავალს, მისი აზრი წარსულსა და მომავალშია. მტკიცდება, რომ დრო ნამდვილად იყოფა ცნობილ ერთეულებადო,—ეს იმას ეგვანება, რომ აიღო და წყლის მიმდინარეობა ნაწილებად დაჰყო: სათაური, საშუალო და ქვედა მიმდინარეობა და ამტკიცო, რომ მდინარის სათაური იწყება აქ და თავდება აქ. მერე საშუალო მიმდინარეობა იწყება აქ და თავდება აქ და სხ. ნამდვილად კი წყლის მიმდინარეობა არსად არ წყდება.

ჩვენ ვყოფთ და ვანაწილებთ დროს და წყლის მიმდინარეობას იმისთვის, რომ ამ გვარი დანაწილება პრაქტიკულად გამოგვადგება და იმისთვის, რომ ვითომც მართლა შესაძლებელი იყოს დროს დაყოფა და დანაწილება. ასეთი დაბნეული და ყალბი წარმოდგენა ბევრი ტრიალებს ჩვენს თავში. მაგრამ ყველაზე მეტი დაბნეული და ყალბი წარმოდგენა ბევრის აზრით ის არის, რომ სივრცისა და დროს შემეცნებას ვურევთ ერთმანეთში. ეს ორი სხვა-და-სხვა შემეცნება საბერძნეთის ფილოსოფიას ერთად მიუჩნევია და მით ძვლევა-ძიების დავთარი აურევია. ამიტომაც არის, რომ ბერგსტონს, ვიდრე დროს და სივრცის შემეცნების შესახებ რამეს იტყოდა, საჭიროდ დაუნახავს ამ ორი მცნების ერთმანეთისგან გაყოფა.

ბერგსტონის გამოკვლევით, ფილოსოფიის ყველა სისტემაში დროს შემეცნება არეულია სივრცის შემეცნებასთან ერთად. ასეთი ნაკლია არა მარტო საბერძნეთის ფილოსოფოსთა ნაწარმოებში, არამედ ახლებშიც, კანტიდგან დაწყებული ყველა ამ ყალბ გზას ადგანან. პროფ. ბერგსტონის ასეთი ისტორიული შეხედულება დროს იდეიის შესახებ ძლიერ შველის საგნის შესწავლასა და გაგებას.

მე მგონია, ყველასათვის ადვილი უნდა იყოს იმის გაგება, რომ დროს შესახებ საკითხი მეტის მეტი ძნელია. მის გადაჭრაზე არა ერთს და ორს ფილოსოფოსს უმტვრევია თავი, მაგრამ საქმის გამორკვევას არავის ჰღირსებია. პირველად ეს საკითხი მეცნიერულ ნიადაგზე ბერგსტონმა დააყენა და მეცნიერების სხივებით გააშუქა იგი. ვიდრე წერილს დავასრულებდე, ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვა ვსთქვათ თვითონ ბერგსტონის შესახებ. ყველაზე უფრო ბერგსტონი შესანიშნავია თავის აზრის გარკვევით და ნათლად გამოთქმით, ანალიზის სიმარტივით, რომლითაც ის ეხება და არჩევს სხვა-და-სხვა ფილოსოფიურ სისტემებს, შეხედულებებს და დებულებებს, თვითეული ფრაზა მისი წინანდელიდან გამომდინარეობს, თვითეულ მის ლექციას (თავის თავად დასრულებულს) წინანდელთან აქვს კავშირი, თვითეული კურსი მისი გაგრძელებაა წინანდელისა. ბერგსტონი არა მარტო შესამჩნევი პროფესორია College de France-ში, არამედ ერთი უდიდებულესი ნიჭია საფრანგეთისა.

ვ. ხუდადოვი.

თეატრი და ხელოვნება

ფ. ქორიძე. მოგზაურობა საქართველოში. Путешествіе по Грузіи. მუსიკა ფ. ქორიძისა. Музыка Ф. Коридзе. ფასი 1 მან.

ამ სათაურით დაიბეჭდა ფ. ქორიძის შრომა, ნოტებზედ გადაღებული სიმღერები ქართველთა, ფორტეპიანოზედ დასაკვრელი. თავში დახატულია გურული ქალი, რომელიც დაჰმღერის ჩონგურზედ სასიყვარულო სიმღერას: „ვერ დაგივიწყებ“. ამას მიჰყვება გუნდის სამღერალი იმერთა. შემდეგ ჩაწერილია სიმღერები: 1, სალაშქრო სიმღერა გურულთა. ლაშქარში მიმავალი გურულები ეთხოვებიან ნათესავებს. გამოთხოვება გამოიხატება Andante Sostenuto do Allegro-თი. 2, მეგრულია, ლაშქარს მიმავალნი და მტრისადა მიახლებულნი, თან-და-თან უკლებენ ნაბიჯს, ეცემიან მტერს (Allegro vivace), ამარცხებენ და გამარჯვებულნი შინ მოდიან. 3, ქართლ-კახელნი დამღერიან სამხედრო სიმღერას: ომისა უხარიან მას, ვისაც კარგი „ცხენი ჰყავს, შინ დაბრუნებისა—ვისა ლამაზი ცოლი ჰყავს“.

ეს შინაარსი იტალიურადაც მოყვანილია. იმედია, ავტორის საპატიო ნაშრომს გაავრცელებენ ჩვენნი ბანოვანნი, არათუ საქართველოში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიაც წარუგზავნიან თავიანთ ნაცნობებს.

მ. ჯ.

—

ქუთაისი. ხუთშაბათს, 13 თებერვალს, აქაურ დრამატიულ დასის მიერ, ჩვენ ნიჭიერ მსახიობ-ქალის ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ, გამართულ იქმნა წარმოდგენა. ითამაშეს 3 მოქ. დრამა „ნორა“, და 1 მოქ ვოდევილი ბნელ ოთახში“. ხალხი დიდი აღტაცებით მიეგებდა მობენეფისის გამოჩენას. აი კიდეც აიხადა ფარდა და ცოტა ხნის შემდეგ სცენაზე გამოჩნდა მშვენივრად მორთული ნ. ჩხეიძე. მისი სცენაზე გამოჩენა და ხალხის გრიალი ერთი შეიქმნა. სცენაზედ ყოველ მხრით ცვიოდა გასროლილი ყვავილები, ფოთოლები და თაიგულები. დიდხანს უკრავდა ტაშს და უძახოდა ვაშას აღტაცებული მაყურებელი საზოგადოება თავისს ნიჭიერ მსახიობ ქალს.

პიესამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. ყველა მოთამაშეები, გარდა ბ ნ ქორიძისა, რომელიც, რასაც ამ საღამოს უღონოდ თამაშობდა, თავ-თავიანთი ადგილას იყვნენ.

თვით მობენეფისეზედ ჩვენ არას ვიტყვით, რადგანაც, ვისაც ის სცენაზედ უნახავს, კარგად წარმოიდგენს, თუ როგორი იქმნებოდა ისეთს როლში, როგორიც არის ნორა.

კარგნი იყვნენ ვოდევილში ქ-ნი ტასო აბაშიძე და ბ-ნი იმედაშვილი. ხალხი წარმოდგენას ბოლომდე დაესწრო.

დასასრულ არ შეგვიძლია, თეატრის კომიტეტის ყურადღება არ მივაქციოთ იმ უწესობას, რომელიც ხდება თეატრში წარმოდგენის დროს. მაყურებელი სმენად არის გადაქცეული, ყურს უგდებს სცენაზედ ამა თუ იმ მსახიობისგან წარმოთქმულ სიტყვებს; მთლად დატყვევებული არის წარმოდგენით, და აი სწორედ ამ დროს აივანზე, ან ქანდარაზედ ხდება ერთი ყვირილი, ხმაურობა და ჩხუბი.

Allience.

ნარკვევი

სასაცილოა სამწუხარო რომ არ იყოს, როცა რომელიმე საზოგადო ორგანო თავისი ენის მოსაკლავად მკითხველს აბუჩად აიგდებს, როცა ამა თუ იმ წერილის დასტამბის დროს მკითხველი საზოგადოება სრულიად ავიწყდება ან განგებ უნდა დაივიწყოს. მკითხველებს მოეხსენებათ „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ უთანხმოება №-ის წერილის გამო. ეს უთანხმოება იმით დაბოლოვდა, რომ „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ საჯაროდ გამოაცხადა, „ივერიის“ რედაქციასთან ყოველგვარ ლიტერატურულ დამოკიდებულებას ვსწყვეტო. ადგილობრივ პირუთვნელ პრესამ არ მოუწონა დასახელებულ რედაქციას ამგვარი საქციელი და ამის გამო თავისი სამართლიანი მსჯავრიც დასდო. ამიტომ „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ თავისი პირვანდელი განცხადება უარჰყო და ხელმეორედ საჯაროდ ამცნო საზოგადოებას, რომ ჩვენ „ივერიის“ რედაქციასთან მხოლოდ გარეგან ურთიერთ შორის დამოკიდებულებას ვსპობთო. გაზეთმა ნათლად ვერ გამოარკვია, რაში მდგომარეობს ეს გარეგანი დამოკიდულება. თურმე ნუ იტყვით, „ცნობის ფურცლის“ რედაქციას ახირებულად ჰქონია წარმოდგენილი ამ ორ ორგანოთა შორის „გარეგანი დამოკიდულების“ მოსპობა. „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელნი „ივერიაში“ დასტამბულ წერილებს არა ერთხელ შეეხებიან ხოლმე, მაგრამ, რადგან ამ ორგანოთა შორის „გარეგანი დამოკიდულება“ მოსპობილია, „ივერიის„ სახელს არ აღნიშნავენ თავის გაზეთის ფურცლებზე, არ ატყობინებენ თავის მკითხველებს, საიდგანაა აღებული ესა თუ ის წერილი, რომლის შესახებ იგინი ესაუბრებიან მკითხველებს. აი, ამის დასამტკიცებელი ნიმუშიც. „ცნობის ფურცლის“ № 2071 ბ-ნი სიტყვა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ, სხვათა შორის, ასე იწყებს მკითხველებთან საუბარს:

> ,,კვლავ იჩერება წერილები სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ. სომხურ ,,ნორდარ''-ს ერთი წერილი დაუსტამბავს წარსულ თვეში, რომელიც ღირსია ყურადღებისა არა თავის აზრებით, არამედ მით, რომ მშვენივრად გვიხატავს დამწერის და მის მსგავს პატრიოტების სულიერ მდგომარეობას'' და სხვ.

ავტორი შემდეგ მოკლეთ შეეხება „ნორდარ“-ში დაბეჭდილ წერილს და მცირე შენიშვნებით განმარტებს. ჩვენ არ შევდივართ ამ შენიშვნების გამოძიებაში, ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია ძრიელ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მკითხველს, რომლისათვის, ვგონებთ, ძრიელ საინტერესო იქმნებოდა კრიტიკულ განსჯისათვის „ნორდარის“ წერილის შინაარსი. ბ-ნი სიტყვა ისე კარგი მცოდნეა სომხურის ენისა, რომ სომხურ ჟურნალ-გაზეთებს „ივერიის“ საშუალებით კითხულობს, ხოლო ყველა მკითხველი ხომ ბუნებით ასე უხვად არაა დაჯილდოვებული ლინგვისტიური ნიჭით და რათ ინება ბ. სიტყვამ, რომ ქართველ მკითხველ საზოგადოებას არ მიუთითა „ივერიის“ იმ ნომერზე, საცა მოხსენებული „ნორდარის“ წერილი სიტყვა სიტყვითაა აღბეჭდილი, და, რად არ მისცა „ცნობის ფურცლის“ მკითხველებს საშუალება თვითონვე გაეცნოთ, თვითონვე

აღკრძალულიყო მოსწავლეთ მათთან დაბინავება და ამას ის შედეგი მოჰყვებოდა, რომ ღარიბები სულ უნდა გამოგვერიცხა გიმნაზიიდგან, რადგან სამოსწავლო ბინაზედ დგომა უკანასკნელი 12 მ. ჰღირს თვეში; მათ-კი ამის ნახევარის გარდახდაც არ შეუძლიანთ. ამის გამო საანგარიშო წელს ნება არ მიეცა მოსწავლეთ მიღებისა მხოლოდ ზნეობრივის მხრით საეჭვოდ.“*)

განზრახ მოვიყვანეთ ოფიციალური ცნობანი. საკუთრად ჩვენ-კი ამაზედ უარესებიც ვიცით. ჩვენ გვინახავს, რომ მოსწავლეს მჭადიც არ ჰქონია საკმაოდ და ხორცს თვეში ერთხელ თუ ეღირსებოდ. გვინახავს, რომ მოსწავლენი მდგარან ღლახაკ-მათხოვართან, რომლის ჩამონათხოვარს პურის, მჭადის, ყველის ნამტვრევებს და სხვა ამგვარს სანოვაგეს, როგორც ცის მანანას, ისე მოელოდებოდნენ. ყოფილა შემთხვევა—მოსწავლე წოლილა უადგილობისა გამო იმ ოთახში, სადაც ცოლ-ქმარნი წვანან და უნებურად გამხდარა მოწმედ იმისი, რაც დაფარული უნდა იყოს მისთვის, და ეს გარემოება გამხდარა მიზეზად მის დაღუპვისა. ვინ არ იცის, რომ ღარიბნი გაკვეთილებს აძლევენ, რათა სწავლის საღსარი მოიპოვონ და გიმნაზიიშივე წელში წყდებიან. ამას წინად ერთმა პატივცემულმა კაცმა გაოცებით გვიამბო, რომ წარსულს ზაფხულს შვილის რეპეტიტორად მოვიწვიე გიმნაზიის ერთი მოსწავლე, რომელსაც ყოველ დღიურ საზრდოდ გარდა მჭადისა და ნამცეცის ყველისა არა ჰქონდა-რაო.

ვგონებთ, რომ ამ ფაქტებს განმარტება არ ეჭირვება. ახლა ნათლად სდგას ჩვენი თვალის წინ ის მიზეზი, რომლის გამო დიდი უმეტესობა გიმნაზიას ვერ ათავებს: მოსწავლე აუტანელს გარემოებაშია.

ამგვარად ის ბედნიერნი, რომელნიც, სტიპენდიების პროექტის მოწინააღმდეგეთა თქმით, იდგნენ გაკაფულ გზაზედ სწავლა-განათლებისა, ჰქრებიან მოსწავლეთ სიებიდგან სწავლა დაუმთავრებელნი. სად მიდიან? მოკლებულნი ყოველ გვარს საღსარს, არა თუ სწავლა-განათლებისას, თვით არსებობისასაც-კი, ადგებიან სხვა-და-სხვა გზას: ერთი მიდის უსიხარულო ცხოვრებისაკენ, მეორე საფლავისაკენ, და მესამე—მცირეოდენთათვის უფრო დაბალ სწავლა-ხელობისაკენ. უნდა ვიცოდეთ, რომ „ტირილ-ყვილი“ სხვაგანაც არის. ბავშთა ტირილი არ არის სასიამოვნო, დიდთა ტირილი საშინელია.

საჭიროა აქ ყურადღება მივაქციოთ ერთს გარემოებას. სწავლა დამთავრებულთ რიცხვი ძლიერ მძიმედ, მაგრამ ცოტ-ცოტათი მაინც მატულობს. 1856 და 1857 წლებში რომ ერთი და ორი იყო, 1883 და 1884 წლებში ოც-ოცდა ხუთამდის გავიდა. რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია არა ის, რომ ღარიბები გამდიდრდნენ. ეს ამბავი სხვა გარემოებასთან არის შეკავშირებული. თავდაპირველად ღარიბები მიისწრაფოდენ გიმნაზიისაკენ. „დავიწყოთ საქმე და ღმერთი მოწყალეაო“, ფიქრობდენ „ან მთავრობა, ან საზოგადოება ხელს გამოგვიწვდენს და ჩვენი შვილები უსწავლელნი არ დარჩებიანო“. მაგრამ, როდესაც იმედი გაუცრუვდათ, წინანდელი გამბედაობა დაჰკარგეს და ხელი აიღეს საქმეზედ. დღეს დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურთა არც-კი ფიქრობს შვილის აღზრდისათვის, რადგან მიუწდომელ საქმედ მიაჩნია. მაგრამ ბევრს კიდევ არ დაუკარგავს ძველი იმედები, იბრძვის და ამაოდ მოელის მხსნელსა. თუ არ მივეშველეთ, ისინიც სხვების გზას დაადგებიან და ძლიერ ახლო ხანში სწავლა-განათლების გზაზედ აიმართება საუარიო*) ზედ წარწერით: „ამ გზაზედ გავლა ღარიბთათვის აღკრძალულიაო“.

ლუარსაბ ლოლუა.

(შემდეგი იქნება)

---

*) Idem. стр. 53. 54, 55.

*) საუარიო მეგრულია. უარი, სა-უარიო ნიშნავს გზაზედ დასობილ კეტს მაჩვენებლად მისა, რომ გზაზედ გავლა აღკრძალულია და მგზავრი უკან უნდა დაბრუნდეს. მისთვის ვიხმარეთ, რომ დედა ენაში სამაგიერო არ გვეგულებოდა. ამისთანა შემთხვევაში პროვინციალიზმმა შეიძლება დედა ენას სამსახური გაუწიოს და, ჩვენის აზრით, მწერალი მის ხმარებას არ უნდა ერიდებოდეს. ზოგიერთ პროვინციალიზმს უთუოდ შეითვისებს და, რასაც არ შეითვისებს, თავით თავისით გაქრება და ცდით არა დაშავდება-რა. ამ მოსაზრებით არიან ხმარებულნი: „უკანასტარი“—დაუწერელი ნახევი წიგნისა ან სხვა დაწერილის ქაღალდისა, რომელსაც ქაღალდის სიძვირისა გამო საწერად ხმარობენ. ეს სიტყვა იხმარება ყოველგან დასავლეთს საქართველოში ,,რძე და ღვინოს ფერი'' პირდაპირ მეგრულიდგან არის გადმოღებული, აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც რუსულ სიტყვებს **КРОВЬ СЪ МОЛОКОМЪ** და სხვანი, რომელთა აზრი აუხსნელადაც ადვილი გასაგებია. ავტ.

კრიტიკულად განსაჯად დასახელებული ხელისხელ საგოგმანებელი „ნორდარის“ წერილი?! უთუოდ იმისათვის, რომ „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელს“ შორის „გარეგანი დამოკიდულება“ მოსპობილია და ამიტომ „ივერიის“ ხსენება, რასაკვირველია, გაზეთის ზემო დასახელებული საჯარო განცხადების უარყოფა იქმნებოდა. ყველაფერი კარგი, მაგრამ მკითხველმა რაღა დააშავა, იმ მკითხველმა, რომელიც ადვილად შესაძლოა, უფრო მეტს ამოიკითხავდა „ნორდარიდან“ ჩვენს გაზეთში გადმობეჭდილ წერილში, სანამ თვითონ ბ-ნ სიტყვას ამოუკითხავს. „ნორდარს“ უთუოდ, დიდათ პატივცემული პროფესორის, ბატონ ელიაზარიანის მიხედვით, საქართველო, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, არ ეპიტნავება და არც უნდა სწამდეს, რადგანაც სიტყვა საქართველო ფრჩხილებში ჰყავს მოწყვდეული. „ცნობის ფურცლის“ მკითხველი ამ გარემოებას უთუოდ შეუმჩნევლად არ დასტოვებდა, და ბ-ნმა სიტყვამ კი სრულიად ყურადღება არ მიაქცია.

აი, სადამდის შეუძლიან მიიყვანოს ზოგიერთი ორგანო „გარეგან დამოკიდულების“ მოსპობას!!.

ბიბლიოგრაფია

მრეწველი. შავი ქვის საქმე. 1903 წ. **ფ. 2 შაური.**

პატარა წიგნაკში ბევრი რამ საყურადღებოა.

მეცნიერთა გამოანგარიშებით, ჭიათურაში ისეთი მძლავრი მადანია, რომ იგი თურმე დააკმაყოფილებს ევროპიის და რუსეთის მოთხოვნილებას 200 წელს, ყოველ წლივ რომ 30—40 მილიონი ფუთი ქვა გუნდა წაიღონ.

მადანში (ჭიათურას) მუშაობა დაიწყო 23-ის წლის წინად. ამ ხნის განმავლობაში დღევანდლამდე წაუღიათ უცხოეთს 200 მილიონი ფუთი ქვაგუნდა, დირებული ფოთში 40 მილიონ მანათად.

ამ 40 მილიონის ნახევარი შეხვედრია რკინის გზას, თითქმის 2 მილიონი—შავი ქვის კრების საბჭოს და ქალაქ ფოთს, 8 მილიონი—ექსპორტერებს, ბანკებს და მაკლერებს, თვით მრეწველთ კი დარჩენიათ მხოლოდ 10 მილიონი. ეს 10 მილიონი მრეწველთ მიუღიათ 20-ის წლის განმავლობაში, მაშასადამე ყოველ წლივ ½ მილიონი.

ამ ფულიდგან, 400—500 მრეწველთ გარდა, ამ 20-ის წლის განმავლობაში საზრდოებულა მრავალი მუშა ხალხი, რომელთა რიცხვი ყოველ წლივ 6—7 ათასამდე ყოფილა.

მაშასადამე, იმათ, რომელთაც ოფლი უღვრიათ სიცხე-სიცივეში და მღვიმე-მაღაროებში უმუშავნიათ და აგრეთვე იმათ, რომელთა საკუთრობა ყოფილა ყველა ეს მღვიმე-მაღაროები, იმ 40 მილიონიდგან შეხვედრიათ მხოლოდ „უბადრუ ფლავის“ ნამცეცები!!

მ. ჯ.

წ ე რ ი ლ ე ბ ი
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მის უწმინდესობას ქათალიკოსს ყოვლთა სომხთა, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა ეკატერინეფელდის კომიტეტს ეკლესიის ასაშენებლად 30 მანათი ფული.

თავმჯდომარე კომიტეტისა მღვდელი სტ. ბაიდაშვილი.

ნარევი და ნაკვესი

„ფინლ. გაზეთის“ სიტყვით, ტოხოლამპიში გვირა დღეს პასტორს უწირნია ტელეფონით. საქმე ასე ყოფილა. დიდის ყინვისა გამო პასტორი ვეღარ გასულა თავის სახლიდგან და, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, შეუერთებია ტელეფონი თავის სახლისა თავის მრევლში გაუგზავნიდ ყველა მავთულებთან და ამ რიგად უწირავს. წირვის შემდეგ პასტორს ქადაგებაც უთქვამს. ვინც ტელეფონთან იდგნენ, ისინი უმეორებდნენ მთელს ხალხს პასტორის სიტყვებს.

—

ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში ახალი კანონი შემოუღიათ. კანონის ძალით, სასტიკად აღკრძალულია გათვრთხება, რაც, როგორც გამოკვლეულ იქმნა, ძალიან ავრცელებს მცხოვრებთა შორის ჭლექს. მცხოვრებნი ამ კანონს მტკიცედ ასრულებენ. ამასთანავე თვალ-ყურის დევნებაა, რომ არავინ დაარღვიოს ეს კანონი, დავალებული აქვთ პოლიციელთ, რომელთაც შეუძლიანთ კანონის დარღვევისათვის შეიპყრონ დამნაშავე, ვინც უნდა იყოს და წარუდგინონ სასამართლოს.

ნიუ-იორკის გაზეთი „უორ“ მოგვითხრობს, რომ რუსის ერთს გრაფს პავლე ტიზენჰაუზენს ეს კანონი დაურღვევია და პოლიციელთ მაშინვე შეუპყრიათ და გადაუციათ სასამართლოსთვის, სადაც გრაფი დაუჯარიმებიათ ერთის დოლარით (1 მ. 80 კ.). გრაფს ფული არ ჰქონია და ამიტომ თავი ამოუყოფინებიათ სატუსაღოში. იმავე დღეს გრაფის ადვოკატი მისულა სასამართლოში და გრაფი გაუნთავისუფლებია, თორემ კანონის მტკიცედ აღმსრულებელნი ამერიკელნი გრაფობას არ მიჰხედავდნენ და სატუსაღოში ეყოლებოდათ დამნაშავე დანიშნულ დრომდე.

—

უნგრეთში დიდი მამულის პატრონი ახალგაზრდა, 26 წლის გრაფი ერვინ ბასტიანი, გაუტაცნია ლ. ნ. ტოლსტოის მოძღვრებას და გადაუწყვეტია თავისს სოფელში დასახლება და გლეხურად ცხოვრება. ერვინის ნათესავები იმდენს სცდილან, რომ ერვინი სულით ავადმყოფად უცვნიათ და საავადმყოფოში გაუგზავნიათ. ერვინის ბიძას გაუნთავისუფლებია ერვინი საავადმყოფოდგან. ერვინს დაუწყვია ტოლსტოის თხზულებათა თარგმნა უნგარულად და ტოლსტოის მოძღვრების გავლენით სხვა-და-სხვა გამოცემებში წერილების ბეჭდვა. ერვინი ამის შემდეგ კიდევ ჩაუმწყვდევიათ საავადმყოფოში და მისი მამულისათვის „ოპეკუნი“ დაუყენებიათ.

—

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სულთან-აბდულ-ჰამიდს ოსმალეთის პოლიტიკურ ისტორიის წერა დაუმთავრებია. აწერილია ის ხანა, რაც იგი სულთანად არის. ეს ისტორია დაიბეჭდება სულთან-აბდულ-ჰამიდის სიკვდილის შემდეგ.

დ ე პ ე შ ა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 თებერვალი.

პეტერბურგი. 16 თებერვალს უმაღლესს თანადასწრებით ერმიტაჟს იყო სადილი და მერე ცეკვა პავილიონის დარბაზში.

სოსნოვიცი. „სოსნ. კურ“. იუწყება, მუშას ბოციანოვსკის, რომელმაც განიზრახა ინჟინერის სტრატელსკის მოკვლა, გადაუწყდა 5-ის წლით ზნეობის გასასწორებელს რაზმში ყოფნა ზოგიერთ უფლებათა მოკლებით.

სტამბოლი. ჩერნოგორიის ელჩი დაბრუნდა და მიიღო სულთანმა. ხმა ისმის, სულთანმა სიამოვნება გამოაცხადა ჩერნოგორიის მხრივ მშვიდობიან განწყობილებისათვის და დაავალა მადლობა მოახსენოს მთავარს ნიკოლოზს.

ოტტომანის ბანკს დაავალეს შეადგინოს წესი თვისის მოქმედებისა მაკედონიის სამს ვილაეტში სამოქმედოდ. ეს წესი წარედგინება რუსისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩებს.

ელჩები შეუდგნენ კონსულებს სახელმძღვანელოს თვალ-ყურის დასაჭერად რეფორმების შემოღებაში. კონსულები იუწყებიან, როგორც შემდეგი სულთანის მიერ რეფორმების მიღებისა, დაიწყეს ამნისტიის შემოღება.

ლინდაუ. მოვიდა პრინცესა ლუიზა და დედამ მიიღო. იგი ჩამოხდა სასტუმროს, რომელიც ეკუთვნის ერც ჰერცოგს ფერდინანდს. პრინცესას თან ახლავს ადვოკატი პეტერი.

მადრიდი. როგორც იუწყებიან ცეუტიდგან, მავრების ოლქში სრული ანარხიაა. კაბილები ხარკს არ იძლევიან და ცარცვენ იმ თემებს, რომელნიც სულთნის ერთგულნი არიან.

18 თებერვალი.

პეტერბურგი. დაიწყო ბეჭდვა უქვეშევრდომილესის მოხსენებისა ფინანსთა მინისტრისა შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობის შესახებ.

მადრიდი. მელილიდგან იუწყებიან, ტახტის მაძიებელს გარს შემოერტყნენო.

სოფია. ბოლგარია ემზადება, დიდებულად იდღესასწაულოს 19 თებერვალს 25 წლის თავის განთავისუფლებისა რუსის ხალხისა და მეფის ნებით.

პეტერბურგის ბირჟა, 11 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98¼ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	456⅜ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362¼ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	306½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¾ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90¾ გაყ.
4½% გირავნოზ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	90⅝ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9700 გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	485 წვ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	432 მყიდ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	201 გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

28 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია შემდეგი საქმეები

1) დავა კ. ბოკერიასი და ს. თათარაშვილისა.
2) დავა მ. ღლონტისა და ლ. ჯანდიერისა.

განცხადება

ხუთშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს რვა საათზედ, სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია **კავკასიის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოების წევრთა კრება.**

განსახილველი საგნებია.

1) მოხსენება კ. ა. სატუნინისა, გელის დაცემულ ვაკისა და მდ. მტკვრის სათავის შესახებ.

2) არჩევანი ნამდვილ წევრთა.

გარეშე ხალხს შეუძლიან კრებაზედ დაესწრას. შესვლა უფასოა.

(3—მ.—2)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი გამოცემანი
წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მაიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის საძრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ-რა ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდიბელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩ ე მ ი ა დ რ ე ს ი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ე ვ რ ო პ ი ე ლ ი ქ ა ლ ი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ“

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინის ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე.

(12—6.—3)

გ ა მ გ ე ო ბ ა

ქონებათა ცეცხლისაგან დაზღვევის ტფილისის საურთიერთო

საზოგადოებისა

პატივის-ცემით აუწყებს საზოგადოების ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამ წლის თებერვლის 23, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა.

განსახილველია და დასამტკიცებელი:

1) ანგარიში გამგეობისა 1902 წლისა.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისათვის.
3) მოხსენება გამგეობისა, რომ მიეცეს სესხი პენზის ურთიერთ დამზღვევ საზოგადოებას.
4) გამგეობის ჟურნალი, რომ შემწეობა მიეცეს ტფილისის ქალაქის თვით-მართველობას, რათა მან მოაწყოს მეორე დამოუკიდებელი ცეცხლის მქრობელთა რაზმში.

და 5) არჩევანი თანამდებობის კაცთა საზოგადოების საქმეთა განსაგებელად:

ა) გამგეობის ერთის წევრისა პ. ი. ალიბეგოვის მაგიერ, რომელიც იყო თავმჯდომარედ გამგეობისა და რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს გამგეობის წევრობას.

ბ) გამგეობის წევრების ერთის კანდიდატისა გ. მ. მერაბოვის მაგიერ, რომელსაც აგრეთვე გაუვიდა ვადა კანდიდატობისა.

გ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთის კანდიდატისა ნ. მ. ოსტროვსკისა და ი. ა. მელიქ-ბეგლაროვის მაგიერ, რომელთაც გაუვიდათ ვადა სამსახურისა.

დ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთი კანდიდატისა ი. მ. ალიხანოვის მაგიერ, რომელიც რიგისამებრ თავს ანებებს სამსახურს.

ე) სარევიზიო კომისიის ორის წევრისა გ. ი. თამამშევისა და კ. მ. გამაზოვის მაგიერ.

ვ) სარევიზიო კომისიის წევრთა ორის კანდიდატისა, მათ შორის ერთი უნდა არჩეულ იქმნას თ. ვ. გ. ბებუთაშვილისა და ზ. დ. მამულოვის მაგიერ.

ამასთანავე გამგეობა პატივის-ცემით აცნობებს ბ-ნთ წევრთ-დამზღვეველთ, რომ

1) იმათ, ვისაც არ შეუძლიან დაესწროს კრებას, ნება აქვთ თავიანთი ხმა გადასცენ ვექილობით მხოლოდ დამზღვეველთ და არა სხვას;

2) ხელის-მოწერა ვექილობის ქაღალდზედ უნდა შემოწმებული იყოს გამგეობის მიერ, ან საზოგადო წესისამებრ;

3) მდედრობითის სქესის წევრთ შეუძლიანთ ვექილობა მისცენ თავიანთ მამებს, ქმრებს, შვილებს, სიძეებს და ღვიძლ ძმებს. იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ყველა ესენი არ ირიცხებიან საზოგადოების წევრებად. ამავე საფუძვლით ირიცხება ვექილობა ჰქონდეთ მამათაგან განუყრელს მათს შვილებს.

და 4) ვექილობანი უნდა წარედგინოს გამგეობას დილის 12 საათზედ არა უგვიანეს საზოგადო კრების წინა დღისა.

(2—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.